

საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობითი როლი კომერციული ბანკებისა
და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობაზე

ანა გორდეზიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო
(ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი კალანდაძე, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ხელმოწერა:-----ანა გორდეზიანი.

თარიღი:22.06.2016

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობითი ფუნქციები კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციათა საქმიანობაში გაანალიზებულია, ეროვნული ბანკის კონტროლის მექანიზმები და მის მიერ დადგენილი რეგულაციების სავალდებულო ხასიათი. აქცენტი კეთდება იმ შემთხვევებზე, როდესაც რეგულაციები სრულად ვერ უზრუნველყოფს საფინანსო სექტორის კონტროლს, საუბარია კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი ბუნებაზე, ცნებასა და საქმიანობის მთავარ ასპექტებზე, საქართველოს ეროვნული ბანკის კონტროლს დაქვემდებარებულ საკითხებთან მიმართებით. აღნიშნული საკითხების განხილვა, საშუალებას იძლევა პასუხი გაეცეს კითხვას, რა ღონისძიებათა გამოყენებით არის შესაძლებელი კომერციულ ბანკთა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციათა საქმიანობის კონტროლი და რა მიზანს ემსახურება დაწესებული შეზღუდვების არსებობა მოქმედ კანონმდებლობაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, სააგენტო, ზედამხედველობა, კონტროლი.

Abstract

The presented paper discusses the supervisory functions of the National Bank of Georgia (NBG) and its role related to business activities of commercial banks and micro financial organizations, analyzing the control mechanism of NBG and its mandatory regulations. The paper focuses on the cases where the regulations are not able to ensure the control of financial sector, discusses the legal system of commercial banks and micro financial organizations, concepts and main aspects regarding topics under the control of NBG. After discussing these issues the question - by what means is it possible to supervise commercial banks and micro financial organizations and what is the aim of restrictions prescribed by law – will be answered.

Key words: National Bank of Georgia, commercial banks, micro financial organization, agency, supervision, control.